autumn 2015

wedding

GEORGIA

7 სასარგებლო რჩევა პატარძალს

პერსონა:
ზურაბ ბაქრაძე

იდეა:
საქორწილო ჭაღები ყვავილებით

2015 - წლის ფერთა ტენდენციები

ISSN 2346-8157
9 772346 815006

TSISKVILI GROUP

SINCE 2002

ბელიაშვილი ჯგუფი

ადგილი, რომელსაც ირჩევენ 2002 წლიდან

ბელიაშვილის ქუჩა 0159 თბილისი

საკონტაქტო ტელეფონები:

ლუდის მოედანი: +995 577503305

ეთნო წისქვილი: +995 591342233

+995 591255577

წისქვილი წყნეთში: +995 577503305

wedding

6 ისტორიები
საუკუნოვანი საქორწილო ტრადიციები

10 პერსონა: ზურაბ ბაქრაძე

16 დეტალები
რამდენიმე თვით ადრე...

18 საქორწილო ხარჯების ცხრილი

20 ქორწილის ორგანიზატორი

24 აღმოჩენა
George Van De Kamp

34 ტენდენციები
ფერთა გადაწყვეტილება - 2015 წლის ფლორისტიკა და ფერთა ტენდენციები

38 იდეა: საქორწილო ჭაღები ყვავილებით

40 პროფესიონალის რჩევები
სასარგებლო რჩევები პატარძალს

42 ქორწილი და მასთან დაკავშირებული სტრესი

46 ფოტო და ვიდეო გადაღება: ძებნის კრიტერიუმი

50 მე და შენ
შეუდარებელი პატარძალი

54 სიძის ჩაცმულობა

56 კონკურსი
MY wedding - -ის პატარძლები



wedding

მოგესალმებით ძვირფასო მეგობრებო. მოხარულები ვართ მოგიწვიოთ საქართველოში პირველი საქორწილო ჟურნალის გვერდებზე. პირველ ნომერში შემოთავაზებთ მასალას წლის ყველაზე ლამაზ სეზონზე - შემოდგომაზე. იხილავთ ამა წლის ფერთა ტრენდებს, სიძე - პატარძლის ჩაცმულობას, დიზაინერულ გადაწყვეტილებებსა და საქორწილო დარბაზის მორთულობას. თქვენ უამრავი სასარგებლო და სასიამოვნო სიურპრიზი გელით: კონკურსები, გათამაშებები, სასარგებლო რჩევები, არაჩვეულებრივი ფოტოები და უბრალოდ ჩვენთან ერთად სასიამოვნოდ გატარებული დრო! ქართველი პატარძლები - ყველაზე ლამაზი პატარძლები არიან მსოფლიოში, ნაზები, დახვეწილები, ჰაეროვნები და ძალიან დაბნეულები. თანამედროვე ქართველი გოგონა მეგობრების, დების და ძმების, ნაცნობების გამოცდილებას ენდობა. ამ პროექტის დაგეგმისას ჩვენ მხოლოდ ერთი სურვილი გვამოძრავებდა - გაგიზიაროთ პროფესიონალების გამოცდილება და ჩვენი პოზიტიური ემოციები. იმისთვის, რომ ორგანიზება გაუკეთოთ თქვენი ოცნების ქორწილს უნდა მოასწროთ ყველაფერი - აირჩიოთ ლამაზი ადგილი, კაბა, მანქანა, ვარცხნილობა და მაკიაჟი? ის თუ როგორ მოასწროთ ყველაფერი, არაფერი დაგავიწყდეთ და შეხვდეთ თქვენი ოჯახური ცხოვრების განთიადს გრანდიოზულად, წაიკითხავთ ჩვენს ჟურნალში!

თქვენი საქორწილო გიდი, ბრძენი დამხმარე და ერთგული მეგობარი - **WEDDING IN!** - გაიცანით!

პატივისცემით, “WEDDING IN” - ის გუნდი



ისტორიები

საუკუნოვანი საქორწილო ტრადიციები

მაია მორგოშია

თითქმის ყველა ისტორიული ცნობა, რომელიც ქორწინების შესახებაა და ჩვენამდე მოაღწია საქართველოს გაქრისტიანების შემდგომ პერიოდს უკავშირდება. წარმართობის დროინდელი წესები, რომლებიც ცოლ-ქმრობის ინსტიტუტს ეხებოდა სავარაუდოდ, ქრისტიანობამ აღმოფხვრა და საეკლესიო რიტუალით ჩაანაცვლა.

ქორწინების ტრადიციების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, როდესაც სასურველი სარძლო შეირჩეოდა, საქმრო ნდობით აღჭურვილ პირს საპატარძლოს ოჯახში წარგზავნიდა, რომელიც ვერცხლის სინზე დადებულ სამკაულსა და ძვირფასეულობას მიართმევდა ქალს. მოაწყობდნენ ნიშნობას. ჯვრისწერის დროს საპატარძლოს ოჯახში მიმავალ სასიძოს დაახლოებული პირნი და მგალობელნი მაყრული სიმღერით მიჰყვებოდნენ. სიძის ეჯიბი და პატარძლის მაყარი ეკლესიის კარს შიშველ ხმლებს მიაბჯენდნენ, რომლის ქვეშაც ახლად დაქორწინებულები გაივლიდნენ. საქორწილო ნადიმის დროს, მეფე-დედოფლის სადღეგრძელოს შესმისას, სიძის ეჯიბი ორი შიშველი ხმლით დაუჩოქებდა პატარძალს, ახდიდა პირბადეს, ხოლო მწიგნობარი ქმრისაგან მირთმეული საჩუქრების ნუსხას წაიკითხავდა.

გარდა ძვირფასეულობისა, ძღვენად ძროხები, ცხვრები, ცხენები, ყმები მიჰყავდათ. ამის შემდგომ პატარძლის მხრიდან მდივან-მწიგნობარი წაიკითხავდა: ,,რასაცა ქალს გაატანდნენ ზითად“...

საქმრო ნდობით აღჭურვილ პირს საპატარძლოს ოჯახში წარგზავნიდა, რომელიც ვერცხლის სინზე დადებულ სამკაულსა და ძვირფასეულობას მიართმევდა ქალს.

გიორგი მეფეს, როდესაც თავისი ასული ბიზანტიის კეისარზე გაუთხოვებია, მასთან მოსული დესპანისათვის უთქვამს: ,,ჩვენი ქვეყნის ზნე-ჩვეულების თანახმად საქმროს მოაქვს საცოლოსათვის ქონება და არა საცოლოს საქმროსთვის, ამიტომ მე ჩემს ასულს მზითევს ვერ გამოვატან. მაგრამ სხვაფრივ ქონებრივად უზრუნველვყოფო.“

იაკობ ხუცესიც „შუშანიკის წამებაში“ წერდა: ჰუნების წინააღმდეგ საომრად მიმავალი ვარსქენმა მოსთხოვა მისი ყოფილი მეუღლის სულიერ მამას: ,, ჩემი სამკაული მას არ დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს: იპოოს ვინმე რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე რაიცა რაი არს.....“ ამრიგად, აქ მარტო მხოლოდ სამკაულებზე არ უნდა ყოფილიყო საუბარი, არამედ მანამდე მირთმეულ ქონებაზეც.

ისტორიული წყაროებიდან ნათლად ჩანს, საქართველოში დამკვიდრებული წესების მიხედვით, მამაკაცი უხდიდა სოლიდურ ქონებრივ საფასურს ქალის ოჯახს, ხოლო ქორწინების დარღვევის შემთხვევაში ქმარი სავარაუდოდ უკან იბრუნებდა თავის ქონებას.



სადღესასწაულო რიტუალების სასახლე

- პრემიუმ - კლასის მომსახურება
- უნიკალური სერვის მენეჯმენტი
- ხელისმოწერის ცერემონიის მრავალფეროვნება
- ფურშეტი
- სადღესასწაულო სუფრა
- ბარ-ლაუნჯი
- საკონფერენციო დარბაზები
- ლანჩი / ბრანჩი

მის. ბოჯორმის ქ. 21
ტელ: +995 599 90 34 32; +995 595 011 450
facebook: Sadgesascaulo Ritualebis Sasakhle / რიტუალების სასახლე
ელ.ფოსტა: tamuna_gomarteli@yahoo.com
www.ritualebissasakhle.ge

პერსონა

Zurab Baqradze

ხათუნა კონჯარია

"...9 წლის ასაკიდან ჩემი ფულის გამომუშავება დავიწყე..."

საქართველოში საუკეთესო რესტორანი „წისქვილი", 8 ოქროს ბრენდის ჯილდოსა და რესტორანი-მუზეუმის სტატუსის მფლობელია. „წისქვილი ჯგუფს" დღეს 3 რესტორანი: „ეთნოწისქვილი", „წისქვილი BS" და „წისქვილი წყნეთში" აქვს, რომელიც ამა წლის მაისში გახსნეს. გუნდი მუდმივად ზრუნავს ბიზნესის განვითარებაზე, დაგეგმილი აქვთ ბრენდის საზღვარგარეთ გატანა.

ჰოლდინგს გენერალური დირექტორის სახით სათავეში უდგას ადამიანი, რომელიც ამავე რესტორანში ოდესღაც ჭურჭლის მწმენდავად მუშაობდა, სწავლობდა, ზრუნავდა თავის ოჯახზე და ოცნებობდა წარმატებულ მომავალზე. თუმცა ეს ალბად არა ოცნება, არამედ მიზანი იყო. ზურა ბაქრაძე დღეს დარწმუნებულია: შეუძლებელი არაფერია, მთავარია დამარცხების შემდეგაც ფარ-ხმალი არ დაყარო.

სწორედ ეს ადამიანია ჩვენი რუბრიკის „პერსონა" პირველი სტუმარი.

ბატონო ზურა, მოგვიყევით თქვენი ცხოვრების ისტორია, როგორი ბავშვობა გქონდათ?

ზურა: საკმაოდ ამბიციური ბავშვი ვიყავი და ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემს ადგილს ამ ცხოვრებაში ვიპოვიდი. საკმაოდ ხელმოკლე ოჯახში გავიზარდე, 9 წლის ასაკიდან ჩემი ფულის გამომუშავება დავიწყე.

რა ხერხით შეიძლება ბავშვმა, თუნდაც საკუთარი ჯიბის ფული გამოიმუშაოს?

ზურა: ვკითხულობდი წიგნებს, იქიდან გამომდინარე სცენარებს ვწერდი და უბნის ბავშვებთან ერთად სპექტაკლებს ვდგავდი. ბილეთებს სამეზობლოში ვყიდდი, შემოსული თანხის ნაწილს ბავშვებს ვაძლევდი და ნაწილი მე მრჩებოდა. 12 წლის ასაკში ჩემი პირველი ბიზნესი დავიწყე, ჯიბის ფულს, რომელსაც მშობლები მაძლევდნენ, ვაგროვებდი, ლოდკინიდან, სადაც ვცხოვრობდი, დეზერტირების ბაზრამდე ფეხით ჩამოვდიოდი, დანაზოგით ტკბილეულს, მზესუმზირას ვყიდულობდი და ეზოში ვვაჭრობდი, ფასს ცოტას ვამატებდი.

ძალიან საქმიანი პატარა ყოფილხართ, რა ასაკში დაიწყეთ სრულიად დამოუკიდებელი ცხოვრება?

ზურა: 17 წლის ასაკში, როცა დავოჯახდი. მე და ჩემს მეუღლეს არაჩვეულებრივი ოჯახი გვაქვს, გვყავს ორი შვილი. პატარა ასაკშივე მივხვდი, რომ ჩემი ოჯახის მიმართ პასუხისმგებელი ვარ. ვსწავლობდი, პარალელურად სრული დატვირთვით ვმუშაობდი. მეცადინეობა ღამე მიწევდა, ხშირად წიგნებზე დამძინებია.

რა სპეციალობის ხართ?

ზურა: (იცინის) პროფესიით სტომატოლოგი ვარ, თუმცა მეორე კურსზე უკვე ვიცოდი, რომ იქ არა ვარ , სადაც უნდა ვიყო. მალევე გავემგზავრე მოსკოვში, სადაც საერთაშორისო ბიზნეს სკოლა დავამთავრე, საქართველოში მაშინ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იყო, დაბრუნებისთანავე ისევ

რესტორანში დავიწყე მუშაობა. მიღებული განათლების მოიხედავად, „წისქვილის“ შიდა პოლიტიკის თანახმად, მაინც დაბალი საფეხურიდან დავიწყე, პოლირებაზე ვმუშაობდი. გარკვეული დროის შემდეგ დამაწინაურეს და გავხდი მიმტანი.

ასე დაიწყო თქვენი უწყვეტი კარიერული ზრდა „წისქვილში“?

ზურა: არა, რაღაც მომენტში ისევ რუსეთში მომიწია გამგზავრება სამუშაოდ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი შეგვეძინა, ჩემი შემოსავლი საკმარისი არ იყო მისი მკურნალობისთვის. ავღმოვჩნდი მოსკოვში, რესტორან „ჯნიაზ ბაგრატიონ“-ში, მიმტანად. მალე პრობლემები შეექმნა პიროვნებას, რომელმაც მე იქ წამიყვანა და აღმოვჩნდი ქუჩაში, უცხო ქალაქში. დიდი ხანი რესტორანში სკამებზე მეძინა. 2004-წელს თურქეთში გავემგზავრე, სადაც მარკეტინგული ეკონომიკის ფაკულტეტი დავამთავრე. გზის ფული არ მქონდა და ჩემი საყვარელი გიტარის გაყიდვა მომიწია, რომელიც დღემდე მენატრება. სხვათა შორის, პროფესიონალი გიტარისტი ვარ, განათლება რობერტ ბარძიმაშვილის სახელობის ვოკალურ ინსტრუმენტალურ სტუდია „ლახტში“ მივიღე.

ზურა, ცხოვრებაში ბევრი სირთულის გადალახვა მოგიწიათ, ყოფილა თუ არა მომენტი, როცა მზად იყავით ფარ-ხმალი დაგეყარათ?

ზურა: რა თქმა უნდა მქონდა მძიმე დღეები, თუმცა ამ პრობლემებმა მე გამაძლიერა. კარგად შევეჩვიე ცხოვრებასთან ბრძოლას. რაც არ გკლავს ის გაძლიერებს. ეხლაც, როდესაც წყნარად და მშვიდად ვარ, თითქოს რაღაც მაკლია.

თურქეთში სწავლის შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი კარიერა?

ზურა: თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ, 2006-წელს ისევ მოსკოვში წავედი, და მხოლოდ შემდეგ დავბრუნდი „წისქვილში“, კვლავ მიმტანის პოზიციაზე. ზუსტად ნახევარი წლის განმავლობაში რამდენჯერმე დამაწინაურეს და საბოლოოდ კომპლექსის უფროსი მენეჯერი გავხდი, 4 წელი ვიმუშავე ამ პოზიციაზე. პარალელურად ისევ ვსწავლობდი, განათლება მივიღე ბიზნეს ადმინისტრირების განხრით. რაღაც მომენტში ვიგრძენი, რომ სტაგნაციაში ვარ, ჩემი პოტენციალი ამოვწურე, მივიღე გადაწყვეტილება და გადავედი „ქართულ სახლში“, აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე. მოვხვდი საოცარ გუნდში. 2 წელი მათთან ვიმუშავე და მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, განსაკუთრებით თათია მათიკაშვილს.

ჰოლდინგს გენერალური დირექტორის სახით სათავეში უდგას ადამიანი, რომელიც ამავე რესტორანში ოდესღაც ჭურჭლის მწმენდავად მუშაობდა

„წისქვილში“ როგორ დაბრუნდით?

ზურა: იქ გავიზარდე, იქ თითოეული კედელი მიყვარს, მიყვარს ყოველი აგური, ძალიან დიდი შრომა მაქვს ჩადებული, რა თქმა უნდა სხვებთან ერთად. ჩემი დაბრუნება „წისქვილში“ ლოგიკური იყო.

ზურა, რა თქმა უნდა თქვენი წარმატება თავდაუზოგავი შრომის შედეგია, თუმცა იღბალიც უნდა გწყალობდეს ადამიანს. რას იტყვით, ადგილი ჰქონდა გამართლებას?

ზურა: რა თქმა უნდა, ცხოვრებამ ძალიან ბევრი კარგი ადამიანი შემახვედრა და ჩემი წარმატება მათი დამსახურებაცაა. პირველ რიგში ეს ჩემი მეუღლეა, ჩემი მფარველი. მე მადლობა მინდა გადავუხადო ლაშა ომანაძეს სულს, ეს ადამიანი ყოველთვის გვერში მედგა. რაც არ უნდა მოხდეს ქალბატონი ხათუნა მაღლაკელიძეს მიმართ მადლიერების გრძნობა სიცოცხლეს ბოლომდე გამყვება, ყოველთვის მემახსოვრება, როგორც ჩემი კარიერის ფუძემდებელი.

რას ურჩევთ ახალგაზრდებს, ვინც ეხლა იწყებს თავის ცხოვრებას, ვისაც წინ აქვს ძალიან ბევრი ბრძოლა ?

ზურა: რაც არ გკლავს ის გაძლიერებს. არ უნდა დანებნენ. მიზანი უნდა დაისახონ და დაიწყონ მისკენ სვლა. თან აუცილებლად უნდა მოემზადონ იმისათვის, რომ ძალიან ბევრჯერ დამარცხდებიან, თუმცა, რაც უფრო მეტჯერ დამარცხდები ადამიანი, მით უფრო მალე მიხვალ გამარჯვებამდე. ყოველი შეცდომა - გამოცდილებაა.

ბატონმა ზურამ საუბრის ბოლოს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე გაგვიმხილა, რესტორან ,,წისქვილში“ ახალი დარბაზი გაიხსნა, რომელიც დიდი წვეულებებისთვისაა განკუთვნილი. დარბაზის ერთი ნაწილი გადაწყვეტილია ძველ ქართულ სტილში, ხოლო მეორე - Hi Tech სტილში. დარბაზი 150 პერსონაზეა გათვლილი. „წისქვილი ჯგუფი“ დარწმუნებულია, რომ ეს დარბაზი საქართველოში ძალიან დიდ რეზონანს, არა მხოლოდ უნიკალური სტილის მეშვეობით, არამედ განსაკუთრებული მუსიკითაც გამოიწვევს. ინტრიგა შენახულია, თუმცა ჩვენმა რესპოდენტმა პატარა მინიშნება მაინც მოგვცა და გვიამბო, რომ რეპერტუარი გათანამედროვებული ძველი კომპოზიციებისაგან შედგება და მათ შესრულებას მხოლოდ ვირტუოზ შემსულებლებს ანდობენ. ახალ დარბაზში მისასვლელი მხოლოდ ერთი გზაა ფუნიკულიორიდან, სადაც სან-ფრანცისკოს ხიდის ანალოგის გავლით შესაძლებლობა გექნებათ მოხვდეთ თქვენთვის დაუვიწყარ გარემოში. ხელის მოწერის რიტუალისათვის იდეალური ადგილი მაინც მტკვარზე გადაკიდებული ტერასაა, რომელიც განთავსებულია „წისქვილი“-ს მიდამოებში. ნამდვილი ქართული ქორწილის გადასახდელად იდეალური გარემოა რესტორან “წისქვილ“-ში, თავისი განუმეორებელი არქიტექტურითა და დიზაინით. მასში ბუნებრივი ლანდშაფტი და ქართული სულის სილამაზეა შერწყმული. მარადმწვანე მინდორი, ქართული თონე, ულამაზესი ბუნებრივი ჩანჩქერი, ხეხილის ბაღი, ვენახის ტალავერი, უამრავი ყვავილი, დარბაზში ბუნებრივი კლდე, ნამდვილი წყლის წისქვილი და უამრავი სამუზეუმო ექსპონატი. „წისქვილში” თქვენ შეგიძლიათ თავად აირჩიოთ თქვენი ქორწილის სტილი, ქართული ტრადიციული ან ევროპული დღესასწაული, „წისქვილი ჯგუფი“ იზრუნებს შესაბამის დიზაინზე, გაფორმებაზე და მუსიკალურ პროგრამაზე. „წისქვილში“ გადახდილი ქორწილი ნამდვილად დაუვიწყარი იქნება თქვენთვის და თქვენი სტუმრებისთვის.

დეტალები

რამდენიმე თვით ადრე...

ხათუნა კონჯარია

ქორწილამდე 6 თვით ადრე

- ✔ აირჩიეთ ქორწინების თარიღი და შეამოწმეთ პასპორტების მოქმედების ვადა.
- ✔ შეადგინეთ სტუმრების სია და აუცილებლად დაითვალეთ ხარჯები.
- ✔ გადაინახეთ დაგეგმილი ბიუჯეტის 15-20 %.
- ✔ ჩამოყალიბდით ქორწილის ფორმატზე, მოიფიქრეთ ზოგადი თემატური მომენტები.
- ✔ შეაგროვეთ სასტუმროებისა და რესტორნების შემოთავაზებები, აირჩიეთ მუსიკალური გაფორმების რამდენიმე ვარიანტი.

ქორწილამდე 5 თვით ადრე

- ✔ აირჩიეთ საპატარძლო კაბის მოდელი და ჩამოყალიბდით სიძის ჩაცმულობაზე.
- ✔ შეუკვეთეთ ან შეიძინეთ მოსაწვევები.
- ✔ პირადად დაპატიჟეთ მეჯვარეები.
- ✔ დაჯავშნეთ საბანკეტო დარბაზი და განიხილეთ მენიუ.
- ✔ მოიწვიეთ წამყვანი, შეიმუშავეთ მასთან სადღესასწაულო პროგრამა, შეუკვეთეთ მუსიკალური გაფორმება.
- ✔ აირჩიეთ ფოტოგრაფი და ვიდეო ოპერატორი, განახორციელეთ მათთან მოლაპარაკება.
- ✔ დაიწყეთ საქორწილო ცეკვისთვის მზადება.

ქორწილამდე 4 თვით ადრე

- ✔ შეიძინეთ საქორწილო ბეჭდები.
- ✔ გაუგზავნეთ ან პირადად მიაწოდეთ სტუმრებს მოსაწვევები.
- ✔ შეუკვეთეთ ან შეიძინეთ საპატარძლო კაბა, შეარჩიეთ ფეხსაცმელი და აქსესუარები.
- ✔ შეიძინეთ სიძისთვის კოსტიუმი, შეარჩიეთ ფეხსაცმელი და აქსესუარები.
- ✔ შეუკვეთეთ კორტეჟისთვის ავტომობილები.

ქორწილამდე 3 თვით ადრე

- ✔ შეიტანეთ განცხადება ქორწინების სახლში.
- ✔ გააფორმეთ შეკვეთა საქორწილო ტორტზე.
- ✔ ჩამოყალიბდით ყვავილების და ზოგადად დღესასწაულის დიზაინზე, გააფორმეთ წინასწარი შეკვეთა.
- ✔ აირჩიეთ ადგილი, სადაც გაატარებთ თაფლობის თვეს, დაჯავშნეთ საგზური, გაიკეთეთ აუცილებელი აცრები.

ქორწილამდე 2 თვით ადრე

- ✔ განიხილეთ დეტალურად საბანკეტო მენიუ, ღვინის ჩამონათვალი და გამოთქვით განსაკუთრებული სურვილები.
- ✔ გაგზავნეთ დასაბეჭდად პოლიგრაფიული პროდუქცია.
- ✔ თუ ჯვრისდაწერას აპირებთ, მიაწოდეთ მღვდელს ყველა საჭირო საბუთი.
- ✔ შეუკვეთეთ ყვავილები დეკორისთვის.
- ✔ გაიკეთეთ საცდელი მაკიაჟი და თმის ვარცხნილობა რამდენიმე სტილისტთან და აირჩიეთ თქვენთვის სასურველი.

ქორწილამდე 1 თვით ადრე

- ✔ შეუკვეთეთ პატარძლის თაიგული.
- ✔ შეამოწმეთ ყველა საბუთი და ბილეთი რომანტიკული მოგზაურობისათვის.
- ✔ კიდევ ერთხელ გადაამოწმეთ ფოტოგრაფთან, ვიდეო ოპერატორთან და სტილისტთან შეთანხმება და განიხილეთ სპეციალური სურვილები.
- ✔ მოელაპარაკეთ სტილისტს, რომელიც იზრუნებს სიძის ვარცხნილობაზე.
- ✔ კარგად მოიფიქრეთ საქორწილო კორტეჟის გზა და განიხილეთ ავტომობილების მძღოლებთან.

საქორწილო ხარჯების ცხრილი

სია	მისამართი, ტელ. ნომერი	თარიღი	ფასი
ახალდაქორწინებულების სამოსი			
კაბა			
კოსტიუმი			
პერანგი			
ფატა			
მოსაცმელი			
ჩანთა			
ქალის თეთრეული			
პატარძლის ფეხასცმელი / გამოსაცვლელი			
სიძის ფეხასცმელი			
ჰალსტუხი			
ფლორისტიკა / გაფორმება / დეკორი			
პატარძლის თაიგული/ვარდის ფურცლები			
რეგისტრაციის გაფორმება			
დარბაზის გაფორმება			
საქორწილო მანქანის გაფორმება			
საიუველირო ნაწარმი			
ბეჭდები			
პატარძლისათვის ბიჟუტერია			
სილამაზე			
საცდელი მაკიაჟი და ვარცხნილობა			
მანიკიური/პედიკიური			
სოლარიუმი			
ვარცხნილობა			
მაკიაჟი			

გამოჭერით და გადაკეცეთ მოცემული ხაზების მიხედვით

საქორწილო ხარჯების ცხრილი

სია	მისამართი, ტელ. ნომერი	თარიღი	ფასი
საორგანიზაციო ჯგუფი			
ვიდეო გადაღება			
ფოტო გადაღება			
წამყვანი / თამადა			
ხმა და მუსიკალური მოწყობილობა			
შოუ პროგრამა			
საქორწილო ცეკვის დადგმა			
საქორწილო ტრანსპორტი			
სხვა ხარჯები			
ქორწინების რეგისტრაცია			
საქორწილო მოსაწვევები			
მეჯვარეების თაიგულები და ბუტონიერები			
სტუმრების მაგიდების განლაგების სია			
სასაჩუქრე ბონბონიერები სტუმრებისათვის			
საქორწილო ბანერი			
საქორწილო ბეჭდებისთვის დასადები			
ფეიერვერკი			
სასტუმრო ნომერი ახალდაქორწინებულებისთვის			
საქორწილო მოგზაურობა			
ბანკეტი			
რესტორნის შერჩევა			
საქორწილო მენიუ			
ალკოჰოლური სასმელი			
ტორტი|დესერტი			

ქორწილის ორგანიზატორი

ხათუნა კონჯარია

საქორწილო ორგანიზატორთან მიმართვისას, წყვილი საგრძნობლად იმსუბუქებს ცხოვრებას. როგორ მივხვდეთ, შეგვიძლია თუ არა ვანდოთ ჩვენი ცხოვრების ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი დღე ამა თუ იმ სპეციალისტს?!

გამოცდილება

საქორწილო ორგანიზატორს დღესასწაულის დაგეგმვა და ჩატარება ევალება, მთავარი კი მის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხია. ამ შემთხვევაში ხარისხი დამოკიდებულია მანამდე შესრულებული სამუშაოს რაოდენობაზე ანუ გამოცდილებაზე.

ასაკი

ამ პუნქტს დავიწყებდი მარტივი ანალოგიით: ვის ანდობთ რთული დაავადების მკურნალობას - ინტერნს თუ ექიმს 10-წლიანი სტაჟით? რა თქმა უნდა მეორეს. ამიტომ ასაკს მნიშვნელობა აქვს. ამის გარდა ახალგაზრდა ორგანიზატორს ეჭვის თვალით შეხედავს არა მხოლოდ პერსონალი, არამედ სიძე-პატარძლის მშობლები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში დღესასწაულის მთავარი სპონსორები არიან. შეაჩერეთ არჩევანი ადამიანზე, ვისი ასაკიც გარკვეულ გამოცდილებაზე მეტყველებს.

პირველი შეხვედრა

პირველი შეხვედრის დროს ყალიბდება პირველი და როგორც წესი სწორი შთაბეჭდილება. პუნქტუალურობა, ჩაცმულობა, საუბრის მანერა - ყველაფერს მნიშვნელობა აქვს. ამ ადამიანთან თქვენ ურთიერთობა და მუშაობა რამოდენიმე კვირის მანძილზე მოგიწევთ. თუ ოდნავ მაინც ეჭვი გეპარებათ მასში დაუსვით შესაბამისი კითხვები ან უარი თქვით მასთან თანამშრომლობაზე.

კითხვა - პასუხი

საქორწილო ორგანიზატორი რაც უფრო კონკრეტულად გპასუხობთ კითხვებზე, მით მეტი შანსია, რომ ის ნამდვილად ერკვევა თავის საქმეში. სასიამოვნო სიტყვები, რომ თქვენი დღესასწაული ზღაპრული იქნება - მხოლოდ სიტყვებია. პროფესიონალი არ დახარჯავს დროს მოყოლაზე, რომ აპირებს თქვენი ოცნებების ასრულებას - ის პირველი წამიდან დაიწყებს მათ ასრულებას. პროფესიონალი კონკრეტულად და გასაგებად პასუხობს ყველა კითხვაზე და სვავს თავის შეკითხვებს. მნიშვნელოვანია როცა შეუძლია გასაგებად ახსნას თავისი მოვალეობები.



ორიენტირება

გამოცდილი საქორწილო ორგანიზატორი კარგად ერკვევა ბაზარზე წარმოდგენილი მომსახურეობის ხარისხში, მრავალფეროვნებასა და ფასში. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ის ზეპირად დაგისახელებთ ბიუჯეტით გათვალისწინებული პუნქტების ფასებს, თუმცა მას შეეძლება თქვენი სურვილებისა და შესაძლებლობების ოპტიმალური თანაფარდობის პოვნა. პროფესიონალმა კარგად იცის პერსონალის მუშაობის დეტალები და ის დაგაზღვევთ ზედმეტი ხარჯებისგან.

გუნდი

საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ საქორწილო ორგანიზატორის გვერდით არსებობდნენ ადამიანები, რომლებთანაც არა მხოლოდ სასიამოვნოა თანამშრომლობა, არამედ ისინი მოქმედებდნენ, როგორც კარგად გამართული მექანიზმი. თუმცა მიუხედავად ამისა, ორგანიზატორმა ახალდაქორწინებულებს თავზე არ უნდა მოახვიოს საკუთარი ფოტოგრაფი, ვიზაჟისტი ან დეკორატორი - ბოლო სიტყვა ყოველთვის კლიენტზეა. აქ უკვე ვლინდება სპეციალისტის უნარი გამართოს ახალი მექანიზმი. ძალიან მნიშვნელოვანია საქორწილო ორგანიზატორს ჰყავდეს თანაშემწე, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციებში თავის უფროსს შეცვლის- მზადების პროცესში მარცხი დაუშვებელია.

GEORGE VAN DE CAMP

ხათუნა კონჯარია

George Van De Camp - ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერი ფოტოგრაფია. ის ცნობილია, როგორც არაჩვეულებრივი ფოტოშოპერი და ადამიანი, რომელსაც ნებისმიერი მასალისგან შეუძლია შექმნას სილამაზე. ის არ სჯერდება მიღწეულს და ვითარდება ყოველდღე. George Van De Camp - კომპანია Perfect Style - ის აღმოჩენაა. ის ჩვენი ჟურნალის კრეატიული რედაქტორია. Wedding In - ის პირველი ნომრის ყდა მისი შემოქმედებაა. ჩვენ გვინდა გაიცნოთ George Van De Camp - ი ისევე, როგორც ვიცნობთ მას ჩვენ.

რამდენი ხანია რაც ფოტოგრაფიით ხარ დაკავებული?

2 წელია რაც აქტიურად ვმუშაობ და ეს საქმე ძალიან მომწონს .

რატომ შეაჩერე არჩევანი ფოტოგადაღებაზე?

ბავშვობიდან მიყვარდა ხელოვნება. ადრეული ასაკიდან ვხატავდი, hand made ნივთებს ვამზადებდი, მოკლედ ყველაფერს ვეპოტინებოდი. მახსოვს, როგორი კმაყოფილი ვიყავი, როდესაც პირველი ფოტო გადავიღე და დავამუშავე. ამ საქმიანობაში ყველაფერს ვაერთიანებ, რაც ვიცი.

შენი ნამუშევები მართლაც შთამბეჭდავია. სად ისწავლე ფოტოგრაფია?

თვითნასწავლი ფოტოგრაფი ვარ. არასდროს დავსწრებივარ შესაბამის კურსებს, ლექციებს და გაკვეთილებს. ეს ჩემი პრინციპული პოზიციაა. ასე მგონია, რომ როცა

WEDDING MAGAZINE

გასწავლიან - გსვამენ ჩარჩოებში, რაც ძალიან ცუდია, განსაკუთრებით ჩემს ჟანრში. დოგმებში ყოფნა ჩემთვის მიუღებელია. სულ ვამბობ, რომ ძალიან ბევრი მაქვს კიდევ ასათვისებელი.

რთული იყო თავიდან ?

ვერ ვიტყვი, რომ რთული იყო, რადგან ძალიან მაინტერესებდა. თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც ღამეები გამითენებია სანამ სასურველი შედეგი მიმიღია. ეხლაც ყოველ დღიურად რაღაცას ვსწავლობ, დილიდან საღამომდე, გადაღებიდან გადაღებამდე.

გარკვეულ წრეებში საკმაოდ ცნობილი ხარ, მიაღწიე იმას, რაზეც ოცნებობდი?

მეოცნებე არა ვარ, მე მიზანს ვისახავ და მისკენ მივდივარ. სიტყვაზე, ორი წლის წინ, რომელ ადამიანებსაც მინდოდა უბრალოდ სცოდნოდათ ჩემს შესახებ, დღეს მე არა მხოლოდ ვთანამშრომლობ მათთან, არამედ ვმეგობრობ კიდეც.

როგორ მოხვდი საქორწილო სფეროში?

გავიცანი Perfect Style-ის perfect გუნდი ამ კომპანიასთან ექსკლიუზიური კონტრაქტი მაქვს. ჩემი ნებით აღმოვჩნდი მათ საკუთრებაში, ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. სრული თავისუფლება, ძალიან სასიამოვნო და კომფორტული სამუშაო გარემო მაქვს.

მოგვიყევი შენს პირველ პროექტზე Perfect Style - ის ფარგლებში?

ძალიან გრანდიოზული და უზომოდ საინტერესო პროექტი იყო. სუხიშვილებთან ერთად გავემგზავრეთ ეგვიპტეში. სერგო სპილბერგი ამზადებდა ფილმს, ხოლო მე ფოტო პროექტს. შედეგიანად ვიმუშავეთ და სასიამოვნოდ დავისვენეთ.

FIND WHAT YOU LOVE
AND LET IT KILL YOU

რა განიჭებს შთაგონებას?

ალბათ განწყობა და ხასიათი. არა აქვს მნიშვნელობა კარგად ვარ თუ ცუდად. როცა დეპრესიის პირზე ვარ, უფრო მისტიური ნამუშევრები გამომდის. ზოგადად ძალიან ემოციური პიროვნება ვარ და ჩემი საქმე ნეგატივისგან მანთავისუფლებს .

5 რჩევა ჩვენს მკითხველს ფოტოგრაფ George Van De Camp - ისგან?

1.მთავარი განწყობაა, იყავით ნამდვილი. 2. ნუ ხართ დაძაბული და დაუჯერეთ ფოტოგრაფს. 3. არ ჩაერიოთ ფოტოგრაფის საქმეში, ნუ სთხოვთ მას გაჩვენოთ დაუმუშავებელი სურათები, თქვენ შეიძლება იმ მომენტში არ მოგეწონოთ, მაგრამ პროფესიონალი საბოლოო პროდუქტს ხედავს. 4. თუ გინდათ ხარისხიანი პროდუქტი არ დაზოგოთ თანხა. 5. გადაღების დროს მაქსიმალურად ითანამშრომლეთ ფოტოგრაფთან.

ჩემი აზრით ეს 5 პუნქტი კარგი შედეგის საფუძველია.

არ დაივიწყოთ, რომ George Van De Camp-ს თქვენი ფარული შესაძლებლობი შეუძლია გამოავლინოს და თქვენი ქორწილი დაუვიწყარი ფოტოსესიით დააგვირგვინოს. George Van De Camp-ის არასტანდარტული ხედვა საქორწილო გადაღებას ხელოვნების ნიმუშად აქცევს.

GEORGE VAN DE KAMP

კაბა
TIN & TIN
MAGALASHVILI

კაბა
TIN & TIN
MAGALASHVILI

MARIGOLD

ჩვენთვის ეს ხელოვნებაა

მარიგოლდი
- სიყვარულით აღიარებული ქართული ბრენდი
- განსხვავებული ნიშა
- ხარისხი და გემოვნება

მარიგოლდი
საქმის სიყვარული, ერთგულება, მომსახურეობის კულტურა და რაც მთავარია დიდი შრომა და მოტივაცია შრომისადმი.

მარიგოლდის ხელწერა მეტად დამაჯერებელია და განსხვავებულია. სამოსის სინაზე, აქსესუარებით მორთვა, ქსოვილის სიმსუბუქე კაბის თანამედროვე სილუეტები, ამავდროულად ძველის კლასიკური შერწყმა

საქართველო, თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. 71
(+995 599) 56 51 76; (+995 577) 56 51 76
(+995 32) 295 29 29
nadiradzetamar@yahoo.com
marigoldis saqorwilo kabebi / marigold georgia
georgiamarigold

www.marigold.ge

ფერთა გადაწყვეტილება - 2015 წლის ფლორისტიკა და ფერთა ტენდენციები

ხათუნა კონჯარია

შემოდგომა - იდეალური დროა ქორწილისთვის. არაჩვეულებრივი ფერებით მორთული ბუნება საუკეთესო ნატურალურ დეკორაციას ქმნის. თუმცა ჩვენ მარტივ გზებს არ ვეძებთ და დარწმუნებულები ვართ, რომ ყველაფერს ესაჭიროება დახვეწა, რაშიც ჩვენი სტატია დაგეხმარებათ.

მსოფლიოში ცნობილი ფერთა ინსტიტუტი Pantone მოდის სამყაროში რამდენიმე ძირითად ფერს განსაზღვრავს, რომლებსაც მთელი სეზონის განმავლობაში უპირატესობა მიენიჭება. 2015 წლის შემოდგომის ფერთა პალიტრა საკმაოდ ვრცელია, თუმცა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაჯერებული წითელი (Pantone: Marsala) ცალსახად ლიდერობს. ის უხდება შემოდგომის დასაწყისაც, როცა ბუნება ჯერ კიდევ მწვანეა და დასასრულსაც. ტრენდში ასევე ნარინჯისფერი (Pantone: Cadmium Orange), ყვითლის ყველა მშვიდი და თბილი ელფერი (Pantone: Oak Buff), ზეთისხილის ფერი (Pantone: Dried Herb), მშვიდი ლურჯი (Pantone: Reflecting Pond), ფირუზისფერი (Pantone: Biscay Bay) და ნაზი ვარდისფერია (Pantone: Cashmere Rose).

წელიწადის სხვა დროებისგან განსხვავებით, შემოდგომის ქორწილის დეკორში ზედმეტად მკვეთრი და სავსე ფერები არ არის საჭირო. ქორწილის დიზაინი უნდა შეესაბამებოდეს ამინდს და მშვიდი უნდა იყოს. 2015 წლის შემოდგომის დევიზია - რაც უფრო მარტივი და ხელმისაწვდომია - მით უკეთესია.

საქორწილო დარბაზი შეიძლება ფოთლების, ყვავილების და ხილის გირლიანდებით ან თაიგულებით მოირთოს. აქტუალური იქნება ვაშლის თემატიკა. ეს ხილი ძალიან უხდება შემოდგომის ქორწილს, როგორც აქსესუარი.

შემოდგომის ქორწილს ასევე ძალიან მოუხდება გოგრა, რომელმაც შეიძლება ყვავილებისა და ტკბილეულის ლარნაკის როლი შეასრულოს. დიზაინერები გვთავაზობენ გოგრა გამოვიყენოთ სადღესასწაულო მაგიდის გასაფორმებლად, მაგალითად შანდლის მაგივრად ან როგორც ბეჭდების დასადები. გოგრა იდეალური იქნება საქორწილო ბილიკის ღობესთვისაც.

წელს ძალიან პოპულარულია ეკო სტილი და შესაბამისად ეკო დეტალები, ანუ ყველაფერი ნატურალური და ბუნებრივად ლამაზი. მოდაშია თავთავი, თივა, კაკალი, გირჩები, ხავსი, ყველაფერი, რაც სოფელში, ტყეში ან მინდორში მოიპოვება. ცოტა ფანტაზია, ლამაზი ნაჭრები, მკაფიო დეტალები და თქვენ შეძლებთ შექმნათ განუმეორებელი ქორწილი.

რაც შეეხება ყვავილებს, მოდაშია ისევ ვარდები და გარტენზიები, ყველა სეზონური ყვავილი. თუმცა ფლორისტები უფრო ხშირად გვთავაზობენ ველურ ყვავილებს. თაიგულებში კი ყვავილებთან ერთად ფოთლებს და კენკრას იყენებენ.

იდეა: საქორწილო ჭაღები ყვავილებით

ხათუნა კონჯარია

საქორწილო ყვავილებისგან შექმნილი კომპოზიციების ორიგინალური ალტერნატივა ცოცხალი ყვავილებით გაფორმებული ჭაღები შეიძლება გახდეს. ასეთი ჭაღები იდეალურია ქორწილისთვის, რომლის ჩატარება ღია ცის ქვეშ იგეგმება, მაგალითად დასასვენებელ კომპლექსში ან ბაღში, თუმცა საბანკეტო დარბაზსაც ძალიან უხდება. დეკორის ეს ელემენტი არაჩვეულებრივად გამოიყურება, როგორც ბუნების ფონზე, ასევე ნატურალური მასალებით მოწყობილ ინტერიერში.

საქორწილო გაფორმებაში ძალიან ეფექტურია ბროლის ჭაღები, დეკორირებული კაშკაშა ყვავილებითა და გრძელი საკიდებით. ყვავილებთან ერთად შეგიძლიათ ზეთისხილის ან როზმარინის ტოტები გამოიყენოთ. ასეთი ჭაღები, არა მხოლოდ კლასიკურ ქორწილს, არამედ უფრო ბოჰემურსაც უხდება. ხოლო ნაზი ვარდისფერი, ცოცხალი ვარდებით გაფორმებული ჭაღი, თქვენს დღესასწაულს ვინტაჟურ ატმოსფეროს მიანიჭებს.

პროფესიონალის რჩევები

7 სასარგებლო რჩევა

ხათუნა კონჯარია

1 ისუნთქეთ!

ეს უპირველესია, რასაც მე პატარძლებს ვეუბნები. რა თქმა უნდა ძალიან სასიამოვნოა იყო პატარძალი, თუმცა, როგორც წესი, საპატარძლოს უამრავი გადაწყვეტილების მიღება უწევთ, რის გამოც ძნელია თავბრუ არ დაეხვეს. მაგალითად, თუ სასიძო თეთრსა და აივორს შორის (სპილოს ძვლის ფერი) განსხვავებას ვერ ხედავს, როგორ შეიძლება მას თავისი კოსტიუმის ყიდვა ანდო?!... მაგრამ, მაინც არ აიღოთ თქვენს თავზე ყველაფერი, წინააღმდეგ შემთხვევაში არა თუ სიამოვნებას ვერ მიიღებთ საქორწილო სამზადისისგან, არამედ ძალიან დაიღლებით, რაც გავლენას იქონიებს თქვენს გარეგნობაზე. ასე რომ, არ ინერვიულოთ და ისუნთქეთ!

2 გასცდით შაბლონებს

ძალიან რთულია ისე, განახორციელო ქორწილის კოორდინირება, რომ ყველაფერი დაუქვემდებარო იდეას: დაწყებული ზოგადი სტილიდან დამთავრებული ყველაზე წვრილი დეტალით. თუმცა თუ თქვენ არ გინდათ კონკრეტულ ფორმატს დაემორჩილოთ მოიფიქრეთ რამე საკუთარი - მაგალითად, დღესასწაულის თემად თქვენი გაცნობის ისტორია ან საერთო გატაცება აიღეთ. ტრივიალური ქორწინების სახლის მაგივრად გარე რეგისტრაციაზე შეაჩერეთ არჩევანი: ძალიან ლამაზი და გულის ამაჩუყებელია. მთავარია გასცდეთ შაბლონებს, ამ შემთხვევაში თქვენი ქორწილი ნამდვილად უნიკალური გამოვა.

3 სტუმრები!

სტუმრების სია, ალბათ, ყველაზე მტკივნეული საკითხია: მოწვეულების რაოდენობაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული - პირველ რიგში სადღესასწაულო ბიუჯეტი და ადგილი. ამ საკითხთან დაკავშირებით ხშირად ახალგაზრდა წყვილისა და მათი მშობლების აზრი იყოფა. უფროს თაობას არ ესმის თუ როგორ შეიძლება არ დავპატიჟოთ პეტრე ბიძია ქუთაისიდან და ყველა მისი მეზობელი. ამ შემთხვევაში მთავარია დაიმახსოვროთ: იმისათვის, რომ თქვენი ქორწილი დაუვიწყარი იყოს საერთოდ არაა აუცილებელი სტუმრების შთამბეჭდავი რაოდენობა: რიცხვი არ არის მაჩვენებელი!

4 შეადგინეთ გეგმა

როცა ქალიშვილი ქორწილთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს, ის დიდი ენთუზიაზმით ერთვება საქორწილო სამზადისში. თუმცა საპატარძლო ნელ - ნელა ხვდება: გასაკეთებელი, მოსაგვარებელი და შესათანხმებელი კიდევ ბევრია, დრო კი იწურება. ამიტომ შეიმუშავეთ მზადების ეტაპობრივი გეგმა, გაწერეთ რა და როდის უნდა შეუკვეთოთ ან გადაიხადოთ.

5 კონვერტები

სიძე - პატარძალმა მოამზადეთ კონვერტები, შექმენით პატარა ცხრილი და მიუთითეთ დაქირავებული პერსონალის სახელები. ცხრილში ასევე ჩაინიშნეთ სრული ჰონორარის ოდენობა, ავანსი და ნაშთი (ფოტოგრაფისთვის, ვიდეო ოპერატორისთვის და ა.შ.). ეს ძალიან გაგიმარტივებთ ხარჯების კონტროლს. განათავსეთ თანხები ინდივიდუალურ კონვერტებში.

6 პროფესიონალები - თქვენი არჩევანი

რა თქმა უნდა რთულია სადღესასწაულო პერსონალის არჩევისას არ დაუშვათ შეცდომა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შეზღუდული ხართ დროში და არ გაქვთ საშუალება ყველა კანდიდატს პირადად გაესაუბროთ. ამ შემთხვევაში დაზოგეთ დრო და ნერვები, მიმართეთ კარგი რეპუტაციის მქონე საქორწილო სააგენტოს, რომელიც თავიდან აგაცილებთ მოსაწყენ საორგანიზაციო საკითხებს და მხოლოდ სასიამოვნო სამზადისს დაგიტოვებთ.

7 ენდე, მაგრამ გადაამოწმე

ხშირად ამა თუ იმ მომსახურეობას ახლობლების რეკომენდაციით ვირჩევთ. თუმცა უნდა გახსოვდეთ, რომ საქორწილო სააგენტო პასუხისმგებელია მის მიერ შერჩეულ პროდუქციასა და პერსონალზე, ხოლო ახლობელი არა.

სტრესის დროს ადამიანის ორგანიზმში საგრნძობლად მატულობს ადრენალინის დონე, რომელიც აუცილებლად უნდა დაიხარჯოს.

ქორწილი და მასთან დაკავშირებული სტრესი

ფსიქოლოგი, ნატალია ყვავილაშვილი

ამბობენ, რომ ადამიანი ცხოვრების განმავლობაში ორ ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს, ირჩევს პროფესიას და ცხოვრების თანამგზავრს. ამ უკანასკნელს ხშირად მოსდევს ულამაზესი და დაუვიწყარი დღესასწაული - ქორწილი. წინა საქორწილო მზადება ხშირად დიდი სტრესის წყაროა როგორც უშუალოდ წყვილისთვის, ასევე მათი გარშემომყოფებისთვის. ყველა შეყვარებული თვლის, რომ საკუთარი სიყვარულის ისტორია განსაკუთრებულია. სწორედ ამიტომ ისინი ცდილობენ, თავიანთი რომანტიკული მომენტებით აღსავსე ურთიერთობა ერთ დღეში ასახონ, ქორწილის განუმეორებელ დღეს, ყველას გაუზიარონ სიყვარულით გამოწვეული სიამოვნება და ლამაზი სურათი დაუხატონ. საქორწილო მზადებით გამოწვეული გადატვირთული დღეები კი, თავის მხრივ, მეტ-ნაკლებად ძლიერი სტრესის გამომწვევია.

როგორც წესი, ქორწილის ორგანიზებას ძირითადად მომავალი პატარძლები საკუთარ თავზე იღებენ, თუმცა როგორც ირკვევა, მამაკაცებისათვის ეს პროცესი ბევრად უფრო სტრესულია, ვიდრე ქალებისათვის. საკურთხეველთან პარტნიორის წინაშე დადებული ფიცის წარმოდგენა და საკუთარი ცხოვრების შეცვლის შიში სტრესის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორია. ქორწილის ადგილისა და საქორწილო კაბის შერჩევა, ბიუჯეტისა და საქორწილო პროგრამის დაგეგმვა, სტუმრების სიისა და მათი განთავსების ორგანიზება, მომსახურების სრულყოფა - ყველა ეს გარემოება ქორწილის მოწყობით გამოწვეულ სტრეს-ფაქტორებს ქმნის, რაც თავის მხრივ შემდეგ ფსიქოლოგიურ სიმპტომებს ავლენს: უძილობა, მუდმივი დაღლილობის შეგრძნება, მუდმივი შფოთვა, მოუსვენრობა, აგრესიის მატება, მადის შემცირება ან გაძლიერება, ზედმეტი მგრძნობელობა და გახშირებული ტირილი. ამ დროს წყვილმა შესაძლოა მიმართოს სტრესთან გამკლავების მავნე მექანიზმებს, რომლებიც მხოლოდ მცირე დროით ანიჭებს მათ შვებას - ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარება, ექსტრემალური აქტივობებით დაკავება და ა.შ.

ამ დროს მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ყოველივე ზემოთ ხსენებული სტრესული მოვლენის დროს მოსალოდნელია.

ქორწილის წინა პერიოდისათვის დამახასიათებელი სტრესი ხშირად ქმნის დაძაბულობას წყვილს შორის, რასაც ხშირ შემთხვევაში მოსდევს კონფლიქტები. იშვიათად, მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ქორწილის დაგეგმვამ ისეთი სერიოზული უთანხმოება გამოიწვიოს, რომ წყვილი შეუღლებამდეც კი დაშორდეს, დროებით ან სამუდამოდ.

ქორწილის სტრესის აღმოფხვრა შეუძლებელია და მისი გარკვეული დონით არსებობა აუცილებელიც კი არის, თუმცა არსებობს

რამდენიმე ჯანსაღი გზა, რომელიც დაგვეხმარება მის შემცირებაში, რათა მაქსიმალურად ეფექტურად გავაგრძელოთ ქორწილის დაგეგმვა და დასახულ მიზნებს მივაღწიოთ.

პირველ რიგში უნდა ვეცადოთ დავრწმუნდეთ იმაში, რომ ქორწინება ჩვენი არჩევანია. ხდება ხოლმე, რომ წყვილიდან ერთ-ერთი შეიძლება ზედმეტად სენსიტიური და აგრესიულიც კი იყოს ქორწილის უმნიშვნელო დეტალებზე მსჯელობისას, მაგ.: რამდენ სართულიანი უნდა იყოს ტორტი ან როგორი გადასაფარებელი უნდა ჰქონდეს მაგიდას.

მნიშვნელოვანია ჰარმონიაში ვიყოთ როგორც საკუთარ თავთან, ასევე ჩვენს მომავალ მეუღლესთან. ეს კი ნიშნავს, რომ შევძლოთ კონსტუქციულად გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრებები ნებისმიერ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო დეტალზე და ჩვენს პარტნიორსაც მოვუსმინოთ განსჯის გარეშე. რაც მთავარია, ასეთ დროს უმნიშვნელოვანესია ერთმანეთთან ღია კომუნიკაცია, ერთმანეთთან საუბარი საკუთარ გრძნობებსა და აზრებზე, თავშეკავების ხარჯზე ერთმანეთის პატივისცემით კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა.

როგორც ირკვევა, მამაკაცებისათვის ეს პროცესი ბევრად უფრო სტრესულია, ვიდრე ქალებისათვის.

ქორწილის წინა პერიოდის სტრესის დაძლევის ერთ-ერთ გავრცელებულ და ეფექტურ გზად მიჩნეულია ფიზიკური აქტივობა - სირბილი, ცურვა, იოგა, ველოსიპედით სეირნობა, რაც განწყობის გაუმჯობესებასთან ერთად ფიზიკურ სიჯანსაღესაც უწყობს ხელს. სტრესის დროს ადამიანის ორგანიზმში საგრნძობლად მატულობს ადრენალინის დონე, რომელიც აუცილებლად უნდა დაიხარჯოს. მოუსვენრობაც და უძილობაც სწორედ ამითაა გამოწვეული. ადრენალინის დახარჯვისა და სიმშვიდის დაბრუნების საუკეთესო საშუალება ფიზიკური აქტივობაა, რომელიც წყვილს ასე ძლიერ სჭირდება ქორწილის მზადების სასიამოვნო, მაგრამ დაძაბულ პროცესში.

ფოტო და ვიდეო: ძიების კრიტერიუმები

ხათუნა კონჯარია

ქორწილი რომანტიკული კომედია არაა: თქვენ არ გექნებათ რამოდენიმე დუბლის გადაღების და ხელახლა ჩაწერის საშუალება, ქორწილს მეორედ ხომ ვერ ჩაატარებთ?! ამიტომ ვიდეო ოპერატორისა და ფოტოგრაფის არჩევის საკითხს ძალიან სერიოზულად უნდა მიუდგეთ, ალბათ ისევე, როგორც საპატარძლო კაბის არჩევას.

იაფად თუ ძვირად

რა თქმა უნდა ახალგაზრდა და დამწყებ სპეციალისტებშიც შეიძლება იპოვოთ გენიოსი. მაგრამ, ქორწილის ხარისხიანად გადაღება შეუძლებელია აპარატურის მინიმალური რაოდენობით. პროფესიონალური კამერები და ყველა ის დანადგარი, რაც საჭიროა გადაღებისას საკმაოდ ძვირადღირებულია. შესაბამისად, თავად სპეციალისტის მომსახურებაც იაფი ვერ ეღირება. ამას მივუმატოთ მრავალწლიანი გამოცდილება და კვალიფიკაციის ამაღლება და მივიღებთ კარგ ფოტოგრაფს ან ოპერატორს საკმაოდ მაღალ ფასში. შეზღუდული ბიუჯეტისას სჯობს თავიდანვე უარი თქვათ გამოჩენილ სპეციალისტებზე, რადგან სახელის გამო მოგიწევთ დამატებითი თანხის გადახდა. თუმცა კიდევ ერთი ვარიანტი გაქვთ: შეგიძლიათ უფრო მეტი თანხა გამოყოთ ფოტოგრაფზე და ეკონომია ვიდეო გადაღებაზე გააკეთოთ. გახსოვდეთ, როგორც წესი, უფრო ხშირად სურათებს ათვალიერებენ, ვიდრე ვიდეო ჩანაწერს.

გამოხმაურება

გამოხმაურება საჭირო და მნიშვნელოვანია. უბრალოდ კლიენტებში ზოგჯერ ისეთი პიროვნება გამოერევა, რომელსაც საერთოდ არაფერი მოსწონს. ასეთი ინდივიდები სრულიად უმიზეზოდ ავრცელებენ უარყოფით შეფასებებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხშირად მაღალფარდოვანი სიტყვებით საშუალო დონის პროფესიონალებს მოიხსენიებენ. სანდო და გამოცდილი ხერხი - თქვენი ნათესავები და მეგობრებია, ვინც უკვე გადაიხადა ქორწილი. თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ მათი ფოტოგრაფისა და ვიდეო ოპერატორის ნამუშევრებს და საკუთარი თვალით დარწმუნდეთ მათ პროფესიონალიზმში.

პირადი შეხვედრა

როგორ პოზიტიურ და თავაზიან პიროვნებათაც არ უნდა აგიღწერონ ფოტოგრაფი ან ვიდეო ოპერატორი, მხოლოდ პირადი შეხვედრისას შეგიძლიათ მიხვდეთ თუ რამდენად კომფორტულად იგრძნობთ თავს მასთან მუშაობისას. ადამიანში შესაძლებელია იპოვოთ თქვენთვის ძალიან გამაღიზიანებელი ან სასიამოვნო თვისებები, ასე რომ სჯობს გამონახოთ თქვენს გრაფიკში ნახევარი საათი და პირადად გაესაუბროთ კანდიდატს. გახსოვდეთ, რომ ამ ადამიანის წინაშე მოგიწევთ თქვენი გრძნობებისა და ემოციების გამოხატვა, თუ შებოჭილი იქნებით ვერანაირი კარგი აპარატურა ვერ დაუმატებს ვიდეოს ან ფოტოს სიყვარულსა და სითბოს.

პორტფოლიო

როგორც წესი ყველა პროფესიონალ ფოტოგრაფს ან ვიდეო ოპერატორს აქვს პორტფოლიო - არა ის, რაც თქვენ ნახეთ ოფიციალურ საიტზე (როგორც წესი იქ ნაჩვენებია საუკეთესო ნამუშევრები), არამედ მთლიანი საქორწილო ალბომი ყველა ნამუშევრით. ზუსტად ასეთ ალბომს უნდა გაეცნოთ. ვიდეო ოპერატორის შემთხვევაში ეს არის საქორწილო

ფილმი - პატარძლის მზადების ნაწილით დაწყებული და ფეიერვერკით დამთავრებული. დაუთმეთ დრო 2-3 ალბომისა და რამდენიმე ფილმის დათვალიერებას და გაიგებთ როგორ პროფესიონალთან გაქვთ საქმე.

მნიშვნელოვანი საკითხები

შეხვედრისას თქვენ კონკრეტული კითხვები უნდა დასვათ და მიიღოთ მათზე პასუხები. ეს ქორწილის დღეს ან მასალის მიღებისას თავიდან აგაცილებთ უსიამოვნებებს. პირველ რიგში ჩამოყალიბდით მომსახურეობის სასურველ პაკეტზე და დააზუსტეთ თუ რა შედის მასში. საუკეთესო ვარიანტია თუ ხელშეკრულებას გააფორმებთ, სადაც გაწერილი იქნება ყველა მნიშვნელოვანი მომენტი და ორივე მხარის მოთხოვნა-მოვალეობები. ქორწილის დროს აუცილებლად თან იქონიეთ ეს სია.

აუცილებლად გაარკვიეთ შემდეგი:

- ✔ რამდენი საათის განმავლობაში იმუშავებს ფოტოგრაფი ან ვიდეო ოპერატორი და რა სახის მასალას მოგაწვდით საბოლოოდ;
- ✔ როგორ განხორციელდება შრომის ანაზღაურება და რა თანხებთან არის დაკავშირებული დამატებითი სამუშაო დრო;
- ✔ ჩამოყლიბდით სამუშაოს შესრულების მინიმალურ და მაქსიმალურ ვადებზე;
- ✔ მოგაწვდიან თუ არა გადაღებულ მასალას სრულად;
- ✔ დასჭირდება თუ არა კონტრაქტორს აპარატურისთვის დამატებითი ადგილი ავტომობილში;
- ✔ რა ლოკაციებს გთავაზობენ გადაღებისთვის სხვადასხვა ამინდის პირობებში და ვის ევალება მათზე მოლაპარაკება;
- ✔ მუშაობს თუ არა კონტრაქტორი ასისტენტთან ერთად;
- ✔ როდის ურჩევნია დასვენება (სადილი) - დღესასწაულის დასაწყისში თუ შუაში;
- ✔ როგორ დაიგეგმება სიძე - პატარძლის საქორწილო სამზადისის გადაღება;
- ✔ აქვს თუ არა რამე განსაკუთრებული მოთხოვნები გადაღების დროს;

ექსპერტის აზრი იხილეთ შემდეგ ნომერში...

შეუდარებელი პატარძალი

ხათუნა კონჯარია

საქორწილო მოდის კვირეულები ქალბატონების აღფრთოვანებას ყოველ წელს იწვევენ. საპატარძლო კაბები თამამად შეგვიძლია ხელოვნების ნიმუშად ჩავთვალოთ. ქორწილი 2015-წელს გაქვთ დაგეგმილი და მოდას არ გინდათ ჩამორჩეთ? ჩვენ გთავაზობთ ამა წლის ყველაზე აქტუალურ ტენდენციებს. 2015 წლის ტრენდები იმდენად მრავალფეროვანია, რომ თქვენთვის იდეალური და ამავდროუდ ტრენდული კაბის შერჩევა ნამდვილად არ გაგიჭირდებათ.

ფერები

ვინ თქვა, რომ საპატარძლო კაბა აუცილებლად თეთრი უნდა იყოს?! 2015-წელს დიზაინერებმა ფერთა პალიტრით გაგვაოცეს: ლურჯი, ნაცრისფერი, ფირუზისფერი, ვარდისფერი, პიტნისფერი და გაგიკვირდებათ, მაგრამ შავი. ყველაზე თამამი პატრძლები სტერეოტიპებს სიამოვნებით ანგრევენ და ტრადიციულ თეთრ და სპილოსძვლისფერ კაბებს უფრო ექსტრავაგანტული ფერის მოდელებით ანაცვლებენ.

მაქმანი, მაქმანი, მაქმანი

2015 წლის საქორწილო სამოსში ძალიან ბევრი მაქმანია. ფართოდ არის წარმოდგენილი თავიდან ბოლომდე ამ ფაქტურით შექმნილი კაბები. მაქმანები გაფორმებულია სვაროვსკის კრისტალებით, მძივებით, თვლებით და ლამაზი ქვებით. თუ ეს გეზედმეტებათ, ბევრია ისეთი კაბაც, სადაც მაქმანი დოზირებულადაა გამოყენებული.

წელზე გადაჭრილი და მინიმალისტური კაბები

თუ მზად არ ხართ „თეთრ“ ფერს უღალატოდ, მაგრამ ძალიან დიდი სურვილი გაქვთ, რომ თქვენი კაბა არ ჰგავდეს სხვა დანარჩენს, გამოსავალი არის: არჩევანი წელზე გადაჭრილ მოდელებზე შეაჩერეთ. მსგავსი კაბები თანამედროვე, მოდური და კომფორტულია. თან ძალიან უცხო. ასეთ კაბაში თქვენ არავის დატოვებთ გულგრილს.

ამა წლის საქორწილო მოდის დინებები კიდევ ერთი სასიამოვნო სიურპრიზით გამოირჩევა - მინიმალიზმით. გახსოვთ „სექსი დიდ ქალაქში“ და მისი მოდური, დახვეწილი მთავარი გმირი? სანამ ქერი ბრედშოუ გადაწყვიტავდა უამრავი დიზაინერის შთამბეჭდავი ქმნილება მოეზომა, მან ძალიან სადა კაბა შეიძინა, რომელიც საერთოდ არ იყო თვალში საცემი. იმ შემთხვევაში, თუ არ გიყვართ როცა ბრწყინავს, ბზინავს და პრიალებს, მინიმალისტური ტრენდი თქვენთვისაა. მინიმალიზმი თქვენი ლამაზი სხეულის წარმოჩენის საუკეთესო საშუალებაა. ნაზი, სადა სილუეტები ყველა დეტალს წარმოაჩენს. თუმცა თუ თვლით რომ კაბებში წარმოდგენილი მინიმალიზმი გადაჭარბებულია, შეგიძლიათ დამატებით აქსესუარები შეარჩიოთ და თქვენი კაბა თავად გააფორმოთ, შეურჩიოთ შესაბამისი

Pnina-Tornai

Pnina-Tornai

Pnina-Tornai

Pnina-Tornai

Claire-Pettibone

Reem-Acra

Theia

Reem-Acra

ფეხსაცმელი და სამკაული ან აქცენტი ვარცხნილობაზე გააკეთოთ.

გრძელი, მოკლე და ¾ მკლავები

2015-წლის მთვარი ტენდენცია - გიპიურის მკლავებია. ჰაეროვანი და დახვეწილი გიპიური თქვენს მხრებს ლამაზად გამოაჩენს. შეგიძლიათ თქვენი არჩევანი სადა ქსოვილებზე შეაჩეროთ, თუმცა წელს მაქმანით, კრისტალებით და მძივებით გაფორმებული გიპიურიც აქტუალურია. 2015-წელს დიზაინერები მკლავების მრავალფეროვნებას გვთავაზობენ. აქტუალურია როგორც გრძელი, ასევე ¾ და მოკლე, როგორც ვიწრო, ასევე ფართო მკლავი.

Carolina Herrera-ს წლევანდები კოლექციის მთავარი მახასიათებელი მკლავია. ის სხვადასხვა ფორმისა და ფაქტურისაა. ეს რეტრო სტილის გამეორება 2015წლის კიდევ ერთი მოდური ტრენდი გახდა.

ბევრი დიზაინერი გადასულ მხრებიან კაბებს გვთავაზობთ. ეს კარგი საშუალებაა ლამაზი ყელი გამოაჩინო და შექმნა ნაზი სილუეტი. ამ შემთხვევაში დიზაინერები უპირატესობას გამჭირვალე ნაჭრებს ანიჭებენ. რომანტიკულად დრაპირებული მხრები - იდეალური გადაწყვეტილებაა პატარძლებისთვის, რომლებსაც სახელოები უნდა მაგრამ, არ სურთ რომ კაბა ზედმეტად დახურული იყოს.

სიგრძე

გრძელი საქორწილო კაბები აქტუალურობას არ კარგავს, თუმცა წელს წარმოდგენილი მოდელები სიგრძით ტერფიდან ოდნავ მაღლაა, რაც საშუალებას იძლევა ხაზი გაესვას არა მხოლოდ კაბას, არამედ ფეხსაცმელაც. ისევ და ისევ დიზაინერები ქმნიან ასიმეტრიულ კაბებს, წინ მოკლე და უკან გრძელ მოდელებს.

„ლიბერალური“ წელი

2015 წლის ტრენდები თავისი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ძალიან ბევრი მიმართულება 2014 წლიდან გადმოგვყვა. ისევ აქტუალურია შარშანდელი მოდელები ასიმეტრიული თარგით, უბრეტელო, კრისტალებით გაფორმებული საქორწილო კაბები. ასევე ყვავილოვანი პრინტი და ქალთევზას ფორმის ასიმეტრიული მოდელები. უცვლელად მოდური რჩება შლეიფი, რომელიც ბევრისთვის საქორწილო სტილის განუყოფელი ნაწილია. 2015 წელს რა თქმა უნდა გვხვდება ფატა და ვუალი.

გამოკვეთეთ ტანის უპირატესობები

კაბის შერჩევა ყველასთვის ინდივიდუალურად უნდა მოხდეს. გარკვეული მოდელი შესაძლებელია ძალიან მოდური იყოს, თუმცა საერთოდ არ გიხდებოდეთ. თავისი მრავალფეროვნებით 2015 წელი საშუალებას გაძლევთ იპოვოთ ტრენდული მოდელი, რომელიც ძალიან მოგიხდებათ. საპატარძლო კაბის თითოეული ნაწილი ისე უნდა ერგებოდეს თქვენ ტანს, რომ თქვენი ტანის უპირატესობები გამოაჩინოს და არასასურველი ფორმები დამალოს.

მამაკაცის კოსტიუმი

ამ შემოდგომის ტრენდი ისევ კლასიკაა - სმოკინგი, ელეგანტური და სადღესასწაულო, თეთრი და შავი ფერის, მხოლოდ ნამდვილი მამაკაცებისათვის. კლასიკური კოსტიუმები ჟილეტით, ინგლისური ჰალსტუხითა და პეპლით. სასიამოვნოდ გვახარებს ფერთა გამაც - თუმცა რუხი მარგალიტის ელფერი განსაკუთრებით უხდებათ ტანად ბრიუნეტებს.

მათ, ვისაც შემოდგომის გრილ ამინდში კომფორტულად უნდა იგრძნოს თავი, დიზაინერები მუქი, ღრმა ტონის ტვიდის პიჯაკებს სთავაზობენ, თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელია რაიმე ღია ფერის აქცენტის გაკეთება ფერადი ჰალსტუხის ან პეპლის სახით, შეხამებული ფერის ბუტონიერით.

თქვენ რას ანიჭებთ უპირატესობას?

my weDDing - ის პატარძლები

www.facebook.com/MyweDDiing

ნინი თათოშვილი და შოთა ურუშაძე

ქორწილის თარიღი	26.07.2015
საქორწილო კაბა	"მარიგოლდი"
მაკიაჟი	თიკო რატიშვილი
ვარცხნილობა	სალონი რენესასსი - სტილისტი ნინა იორამაშვილი
თაიგული	ნაყიდი ყვავილები
ფოტოგრაფი	შოთა ბულბულაშვილი
ოპერატორი	არ ჰყავდა
რესტორანი	ტერასა
ტორტი	კერძო მაღაზიაში, არა ბრენდულში
რესტორნის დიზაინერი	არ ჰქონდა
ქორწილის ორგანიზატორი	პატარძალი

სალომე ბულეიშვილი და გიორგი გოგიშვილი

ქორწილის თარიღი	04.06.2015
საქორწილო კაბა	დიზაინერი - ქეთი ჩხიკვაძე
მაკიაჟი	მაკა შავერდაშვილი - სალონი „Le Soleil”
ვარცხნილობა	ეკატერინე ჩანჩიბაძე - სალონი “LeSoleil”
თაიგული	Flowers.ge
ფოტოგრაფი	გიორგი ტორონჯაძე, ნუკა მარგალიტაშვილი
ოპერატორი	"Perfect Style - Weddings"
რესტორანი	გუჯარი
ტორტი	„აზატო“ - “Azzato”
რესტორნის დიზაინერი	ეკა თევდორაძე
ორგანიზატორი	ინა ბლუსენკოვა - "Perfect Style - Event Company"

თამთა მჭედლიშვილი და ლადო მჭედლიშვილი

ქორწილის თარიღი	30.07.15
საქორწილო კაბა	სოფო იოსებიძე
მაკიაჟი	ია ტყეშელაშვილი - სალონი „Keune“
ვარცხნილობა	კარენ ვართანიანი - სალონი „Keune“
თაიგული	"Flowers.ge"
ფოტოგრაფი	ეკატერინე მამამთავრიშვილი
ოპერატორი	მახო ყიფშიძე
რესტორანი	"ტერასა" გამოფენაზე
ტორტი	"გურმე" - "Gourmet
რესტორნის დიზაინერი	ირმა ჯანელიძე
ქორწილის ორგანიზატორი	პატარძალი

ნათია ბრეგვაძე და ვაჟა ტურაბელიძე

ქორწილის თარიღი	10.10.2015
საქორწილო კაბა	"მარიონელა"
მაკიაჟი	სალონი "ვულე-ვუუ" - თამარ და ანი ასათიანები
ვარცხნილობა	სალონი "new forms" - გოგა ხაჯი
თაიგული	ბათუმი. მაღაზია "ზენა"
ფოტოგრაფი	ალექსი აფციაური
ოპერატორი	ზურაბ და თაკო მახაშვილები, ანა ბრეგვაძე
რესტორანი	ბათუმი."შერატონი"
ტორტი	საკონდიტრო "ჩერი"- მაკა დარახველიძე
რესტორნის დიზაინერი	მაია დუდუჩავა
ქორწილის ორგანიზატორი	თამარ გოგელიძე

პატარძლები შერჩეულები არიან გვერდზე MyWeDDing სექტემბერში დაგროვილი ხმების ("ლაიქების") მიხედვით

wedding

№ 1, ოქტომბერი -ნოემბერი 2015
საქორწილო-საინფორმაციო ჟურნალი იმათთვის, ვინც დაქორწინებას აპირებს

მთავარი რედაქტორი	Inna Blusenkova
რედაქტორი	Nino Tsiskaradze
პროექტის ხელმძღვანელი	Julia Samorokova
დიზაინი	Dmitry Kuzmin
სარეკლამო განყოფილება	Maria Sebua, Anna Garibyan
ტექსტების ავტორები	Khatuna Konjaria, Maia Morgoshia
	Inna Blusenkova, Natalia Khvavilashvili
ლოჯისტიკა	Aleko Sokhadze
ჟურნალის ინტერნეტ ვერსია	weddingmagazine.ge
პერიოდულობა წელიწადში	4 ჯერ
ტირაჟი	5000 ეგზემპლარი
გამოცემის თარიღი	15 ნოემბერი 2015წ.

ფოტო - George van de Kamp
მოდელი - Elene Shiukashvili
კაბა - "Marigold"
MUA - სილამაზის სალონი "UPTOWN"

ფოტოპროექტში მონაწილე მოდელები:
Kristi Kipshidze, Lida Chxeidze
Elizabet Chipashvili,
Elene Shiukashvili

გამოცემაში მოცემული მასალების მთლიანი ან ნაწილობრივი კოპირება შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი თანხმობის შემთხვევაში შპს "ვედინგი"-ს მხრიდან, აუცილებლად წყაროს ბმულით. ჟურნალში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს რედაქციის ხედვას.

გამოყენებულია მასალა ჟურნალი "Wedding In" , "WOODOO ART PHOTOGRAPHY", "George van de Kamp" პირადი ფოტო ბანკიდან.

პასუხისმგებლობა რეკლამაში მოცემულ ინფორმაციაზე ეკისრება რეკლამის დამკვეთს

დაბეჭდილია შპს "ფავორიტი", თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.50, (+995-032) 2 951 952, (+995 595) 60 90 90

© 2015 საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალ „Wedding In“-ში გამოქვეყნებული მასალის გამოყენება ბეჭდვითი თუ ელექტრონული ფორმით აკრძალულია საქართველოში ჟურნალ “Wedding In”-ის ექსკლუზიური ლიცენზიანტის შპს „ვედინგის“ ოფიციალური წერილობითი ნებართვის გარეშე.

გამომცემელი შპს "ვედინგი", თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 129 ა, (+995-032) 215 85 05, (+995) 555 25 54 32
დირექტორი - Julia Samorokova
ჟურნალი Wedding In - ის ხელმძღვანელი - Inna Blusenkova

MARCO POLO HOTEL
GUDAURI

სასტუმრო “მარკო პოლო გუდაური”
თქვენს ქორწილს ნამდვილ დღესასწაულად აქცევს!



PERFECT STYLE

EVENT COMPANY

weddingingeorgia.ge